ოქმი:**ო37. 3724239001**

თარიღი:**26/08/2024**

ოქმი N 9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

2024 წელი, 22 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

16.00 – 16. 30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: ლ. ბიგვავა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ტ. არეშიძე, ნ. ჭანიშვილი;

მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი; ფრაქციის თავმჯდომარეები- მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, ს. ქარცივაძე, გ. სირაძე, ნ. ნადირაშვილი, დ. მდინარაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დავით დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, საკრებულოს 45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 29 -მ, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29 -ხმით.

დღის წესრიგი

12.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29 -ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ აღნიშნა- მისასალმებელია რომ წინასწარი პროგნოზი მართლდება, მიმდინარე წლის ბიუჯეტი უახლოვდება 80 მილიონ ლარიან ზღვარს, იგი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაწყვეტაზე, ამასთან მიანიშნებს რომ მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად სტაბილურად ვითარდება.

მასმედიის წარმომადგენელმა გ. გირკელიძემ დასვა შეკითხვა მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 1,5 მილიონი ლარის თაობაზე, განუმარტეს, რომ ეს თანხა მოხმარდება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას.

საკრებულოს წევრმა ს. ქარცივაძემ დასვა შეკითხვა-იგეგმება თუ არა ქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, მათ შორის ჯავახიშვილის ქუჩაზე? უპასუხეს, რომ არათუ იგეგმება უკვე მიმდინარეობს სამუშაოები, გამოყოფილი ასიგნებები მოხმარდება იდენტიფიცირებული და უკვე დაპროექტებული სამუშაოების შესრულებას, მათ შორის სანიაღვრე არხების და მდინარეთა კალაპოტების გაწმენდას, მილხიდების რეაბილიტაციას და სხვა.

საკრებულოს წევრმა დ. მდინარაძემ აღნიშნა თაყაიშვილის ქუჩაზე არსებული პრობლემების აღმოფხვრის აუცილებლობაზე, უპასუხეს, რომ ამ პრობლემების მოგვარებაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება საქართველოს საგზაო დეპარტამენტთან.

საკრებულოს წევრმა გ. სირაძემ განაცხადა, რომ ყველა ქუჩაზე არსებული პრობლემების აღმოფხვრას გამოყოფილი თანხები არ ეყოფა, როგორ მოხდება ქუჩების შერჩევა და აბაშიძის ქუჩა თუ იქნება გათვალისწინებული? უპასუხეს, რომ გამოყოფილი თანხები მოხმარდება წლების წინ გამოვლენილი პრობლემების მოგვარებას, აბაშიძის ქუჩის სრულმაწსსტაბიანი რეაბილიტაციის შესახებ საკითხი დასმულია საგზაო დეპარტამენტის წინაშე.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე იმსჯელეს საკრებულოს მუდმივმოქმედმა კომისიებმა და ფრაქციებმა და მხარს უჭერენ მის დამტკიცებას.

დადგენილება მიღებული იქნა 29-ხმით.

2. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი